

ადევნება და სექსუალური შევიწროება - სექსუალურ ძალადობასთან
ბრძოლის თანამედროვე მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობაში

ელზა გელაძე

*სამეცნიერო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზადრი ნიპარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელზა გელაძე

2020 წელი

აბსტრაქტი

სექსუალური ძალადობა წარმოადგენს, ძალადობის ძალზედ მძიმე ფორმას, რომელმაც მსხვერპლს შეიძლება მიაყენოს, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური ზიანი. წინამდებარე ნაშრომის საკვლევი საკითხი არის, აღნიშნული დანაშაულის ორი გამოვლინების - ადევნებისა და სექსუალური შევიწროების წინააღმდეგ ბრძოლის, თანამედროვე სამართლებრივი მექანიზმების მოკვლევა.

მოცემული ნაშრომის მიზანია, შეაფასოს არის თუ არა საქართველოს თანამედროვე სამართლებრივი მექანიზმები საკმარისი, ადევნებასთან და სექსუალურ შევიწროებასთან საბრძოლველად. ასევე, კვლევის მიზანს წარმოადგენს, იმ ხარვეზების აღმოჩენა და განხილვა, რაც არსებობს სექსუალურ დანაშაულებთან მიმართებაში, კონკრეტულად, კი ადევნებისა და სექსუალური შევიწროების კრილში.

წარდგენილი ნაშრომი, ადევნებისა და სექსუალური შევიწროების კრილში, აკეთებს საქართველოს კანონმდებლობის ერთგვარ ანალიზსაც. აღნიშნული კი მოიცავს, საქართველოს ნორმატიული კანონმდებლობისა და მისი შინაარსის შესწავლას, ასევე მის შედარებას საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, რამდენიმე წლის წინ არ არსებობდა ადევნებასთან და სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული ჩანაწერები, რომლებიც იქნებოდა შემაკავებელი ხასიათის. თუმცა, დღეის მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც ადევნების, ასევე სექსუალური შევიწროების ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში პირის უფლებების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.

საბოლოოდ კი უნდა ითქვას, რომ ადევნებისა და სექსუალური შევიწროების შემთხვევაში, მსხვერპლს შეუძლია, იბრძოლოს საკუთარი უფლებებისთვის, როგორც შიდა ეროვნული კანონმდებლობის საშუალებით, ასევე საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო მექანიზმებითაც.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, სექსუალური, ადევნება, შევიწროება, კანონმდებლობა.

Abstract

Sexual violence is a very serious form of violence, that can damage both - physical and mental harm. The subject of the presented paper is, the research of two types of this crime - stalking and sexual harassment, modern legal mechanisms to combat it.

The aim of this paper is, to assess whether modern Georgian legal mechanisms are, sufficient to combat sexual crimes, such as stalking and sexual harassment. The aim of the study is, also identifying and considering the acts of sexual violence, specifically in the context of stalking and sexual harassment.

The presented work is, a kind of analysis of Georgian legislation. This includes, the study of the normative legislation of Georgia and its contents, as well as its comparison with international agreements.

The study found, that Georgian legislation, a few years ago, did not include records of stalking and sexual harassment, that would be restrictive. However, as of today, Georgian law provides legal mechanisms for protecting a person's rights, both in the case of stalking and sexual harassment.

Finally, it should be noted that in the case of stalking and sexual harassment, the victim can protect his or her rights, both through national law and, if necessary, through international mechanisms.

Keywords: violence, sexual, stalking, harassment, legislation.